

2011 წლის 18 აპრილის

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

ადმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ № 75

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხაგიაშვილი (თავმჯდომარე), გვიად კორძაძე, ბესო აბაშიძე, იმედა ღვალაძე, ქეთევან ბექაური, ზაზა ბიბილაშვილი, ნოდარ ფექირიშვილი, ცისმარი ონიანი, გონა სვანიძე

დღის წესრიგი:

1. კომპანია “One IT” –ის მიერ შემუშავებული ადვოკატთა რეესტრის და კეის-მენეჯმენტის სისტემის შექმნის პროექტის განხილვა და დამტკიცება;
2. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება;
3. ასოციაციის აპარატის თანამშრომლებისთვის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ საკითხი;

ზვიად კორძაძის ინიციატივა:

4. განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
5. განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის კოორდინატორის შტატის შესახებ;
6. განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის წევრების ცვლილების შესახებ;
7. სხვადასხვა: ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებები: დიანა მარტიაშვილი, გივი ფხალაძე, მზია ჭიჭინაძე, თეა კობიაშვილი, სოფიო მუჯირი, ნუგზარ ბეჟიტაშვილი, ნანა ბიბილური, კობა ხურციძე, მანანა რეხვიაშვილი, თინათინ ფეიქრიშვილი, ბუღუ შეყილაძე (გარიცხულია), ელისო ონიანი, რამაზ პატარაია, მალხაზ კუნელაური, ნინო ჩიმაკაძის განცხადება (150 ლარიანი ქვითრის გარეშე გაწევრიანების შესახებ), ალექსი კობაიძის შესახებ შემოსული განცხადება, ნათია უბერის განცხადება ტესტირებაში დაგვიანებით რეგისტრაციის შესახებ.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. დამტკიცდეს კომპანია “One IT” –ის მიერ შემუშავებული ადვოკატთა რეესტრის და კეის-მენეჯმენტის სისტემის პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

2. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწვევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე.

3. ასოციაციის აპარატის თანამშრომლებს ახალი საშტატო განრიგის მიხედვით გაუფორმდეთ უვადო შრომითი ხელშეკრულებები და შევიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის ბიუჯეტში, ხოლო ახალ შტატებზე (განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის და სასწავლო ცენტრის კოორდინატორი, ქუთაისის რეგიონალური ოფისის მენეჯერი) გამოცხადდეს კონკურსი; ახალი საშტატო განრიგი ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივნისიდან .

4. დამტკიცდეს განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის დებულება სხდომაზე წარმოდგენილი სახით;

5. დამტკიცდეს განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის და სასწავლო ცენტრის კოორდინატორის შტატი და აღნიშნულ ვაკანსიაზე გამოცხადდეს კონკურსი;

6. არ დაკმაყოფილდეს **ნათია უბირის** განცხადება ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის დაგვიანებით რეგისტრაციის გავლის შესახებ;

7. ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებები საწევრო შეღავათების გავრცელების/გადავადების/გათავისუფლების მოთხოვნის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

8. ელენა კურტანიძის საჩივარი ეთიკის კომისიის მიმართ არ იქნას განხილული;

9. გამომძიებელს **სოფიო ფერაძეს** გაეგზავნოს წერილი.

10. **მალსაზ კუნელაურის** განცხადება არ დაკმაყოფილდეს.

ზაზა ხატიაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე